გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №33
2018 წლის 24 აპრილი

ქ. გარდაბანი

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისას (უპირობო ან/და პირობებიანი) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმების, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (უპირობო ან/და პირობებიანი) აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისას (უპირობო ან/და პირობებიანი) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმების, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (უპირობო ან/და პირობებიანი) აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმების დამტკიცების** შესახებ“ (www.matsne.gov.ge, ვებგვერდი, ვებგვერდი, 13/03/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.161.016395) გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის №16 დადგენილებაში და

1. დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე-4 მუხლის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:“

2. დადგენილების დანართი №5 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **რაფი ორუჯოვი**